გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის წარმომდგენი სკოლის შესახებ

პროექტის წარმომდგენი სკოლის სახელწოდება	**ს.ს.ი.პ. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა**	
სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი	**4109**	
სკოლის დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია	სახელი, გვარი	**გელა მაჭარაშვილი**
	ტელეფონი	**577947200**
	ელ-ფოსტა	gemacharashvili@gmail.com
პროექტის მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია	სახელი, გვარი/სკოლაში დაკავებული პოზიცი	**გელა მაჭარაშვილი დირექტორი**
	ტელეფონი	**577947200**

	ელ-ფოსტა	gemacharashvili@gmail.com
პროექტის სახელწოდება	**Let's See** **მოდი ნახე**	
პროექტის ბიუჯეტი (ლარი)	**2, 990 ლარი**	

2. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება: მოდი ნახე

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 3 თვე

პროექტის ბენეფიციარები: საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის თემში შემავალი სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები.

პროექტის მოკლე ანოტაცია:

პროექტი ეხება ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობას. ხანგრძლიობა არის 3 თვე.

პროექტი, რომლის მიზანია მოსწავლეებში კვლევა-ძიების,ინფორმაცის დახარისხების,თანამშრომლობის, შემოქმედებითი აზროვნების, პრეზენტაციის უნარების განვითარება, განხორციელდება სკოლაში, სკოლის მოსწავლეთა მიერ, იგი ხელს შეუწყობს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეოების, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი ძეგლების შესახებ ცოდნის ამაღლებას და საკუთარი ქვეყნის,რეგიონის, სოფლის ღირსშესანიშნაობების დაცვისა და მოვლა პატრონობის უნარების განვითარებას.

პროექტი ეხება საჩხერის რაიონში და ზემო იმერეთში კულტურულ-ისტორიული, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ნიმუშების, ტაძრების, ღირსშესანიშნავი ნაგებობების მონახულებას, აღწერას, შესწავლას, მცირე საინფორმაციო გზამკვლევის შექმნას, ფლეშმობის მოწყობას, ვიდეო კოლაჟისა და პრეზენტაციის მომზადებას, გამოფენის ორგანიზებას. ასევე მოპოვებული მასალების გავრცელებასა და პოპულარიზაციას თემის, რაიონის სკოლის მოსწავლეებში, მასწავლებლებში და ამ თემით დაინტერესებულ პირებში.

სკოლის მოსწავლეები პროექტის კოორდინატორებთან ერთად მოინახულებენ რაიონსა და ზემო იმერეთში არსებულ ღირსშესანიშნაობებს, კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს, აღწერენ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლებს, ფლორისა და ფაუნის იშვიათ ეგზემპლარებს, დაახარისხებენ მოპოვებულ მასალას, მოამზადებენ და გამოცემენ მცირე საინფორმაციო გზამკვლევს, მოიწვევენ სკოლაში ცნობილ მკვლევარებს, მუზეუმის თანამშრომლებს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს, პოპულარიზაციას გაუწევენ მხარეთმცოდნეობის კლუბის მიერ შესწავლილ ობიექტებს. მოაწყობენ გამოფენას ჩვენი სკოლის და თემში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის.

არსებული სიტუაციის ანალიზი/პრობლემის იდენტიფიცირება:

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები აჩვენებენ უკეთესს შედეგს მაშინ, როდესაც ხდება ცოდნის ტრანსფერი, ანუ ცოდნის მიღება უკავშირდება მისი პრაქტიკაში გამოყენებას და პირიქით, სწავლება შედეგიანია მაშინაც, როცა მოსწავლეები სწავლობენ კეთებით.

როგორც ჩვენი სკოლის ფარგლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს მცირეა ან საერთოდ არ მოიპოვება ლიტერატურა ჩვენი რაიონისა და რეგიონის ღირსშესანიშნავი კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების, ნაკრძალების,

ბუნებრივი ძეგლების, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების იშვიათი ეგზემპლარების შესახებ. არ არსებობს ინფორმაცია ზემო იმერეთში გადაშენების პირას მყოფი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ესგ-ის თანახმად, საგნობრივი სასწავლო პროგრამების მიხედვით ეუფლებიან ცოდნას, ივითარებენ უნარებს, მათ აკლიათ კავშირი პრაქტიკასთან, ნაკლებად იცნობენ საკუთარი რაიონის, რეგიონის კულტურულ-ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, ბუნებრივ ძეგლებს და ხშირ შემთხვევაში, სასწავლო ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვადასხვა ღონისძიებები ეწყობა ისეთ ადგილებში, რომელთა შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია, ლიტერატურა და მასალა არსებობს.

მაგალითად:კვლევა აჩვენებს ჩვენი სკოლისა და რაიონის მოსწავლეთა უმეტესობა საექსკურსიოდ ირჩევს ქალაქ ქუთაისის, გორის, ბათუმს, კახეთის და თბილისის რეგიონის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მაშინ როდესაც მათ საკუთარი საცხოვრებელ გარემოსთან ახლოს მდებარე, შესაძლოა უფრო მეტი კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ძეგლი არ აქვთ ნანახი და შესწავლილი.

ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ ჩვენი მოსწავლეები მხოლოდ ზედაპირულად ფლობენ ინფორმაციას ახლომდებარე კულტურულ-ისტორიული ძეგლების შესახებ, აქედან გამომდინარე მათ აქვთ დაბალი მოტივაცია მოინახულონ და შეისწავლონ, ასევე თანატოლებს გააცნონ საკუთარ რეგიონში, რაიონში მდებარე ღირსშესანიშნაობები.

გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია მათ მიმდებარედ არსებულ ღირსშესანიშნაობათა შესახებ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც არასათანადო მოპყრობისა და ინფორმაციის არ ქონის გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ დაანგრია ისტორიული ძეგლები,

მაგალითად: ზემო იმერეთში. სოფელ კორბოულში არსებობს მე-6 საუკუნის დროინდელი ისტორიული ძეგლი, სახელწოდებით „სანთელას ციხე“, რომელიც ისტორიულად ცნობილ აბრეშუმის გზასთან არის დაკავშირებული და ამჟამად იგი იმყოფება სავალალო მდგომარეობაში, მოსახლეობის მიერ მოხდა მისი ფრაგმენტების დაშლა და გამოყენება სამშენებლო მასალად, ვინაიდან არ იყო ცნობილი თუ როგორ ისტორიულ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა იგი.

მიუხედავად იმისა რომ სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს აქვთ სურვილი რომ მოინახულონ, შეისწავლონ და პოპულარიზაცია გაუწიონ რაიონის ღირსშესანიშნაობებს, დღემდე ვერ მოხერხდა ამ ამოცანის შესრულება, რადგან არ არის შესაბამისი გზმკვლევი და არ არის ტურისტული სააგენტო, რომელიც ხელს შეუწყობდა ექსკურსიების მოწყობას და გიდობას გაუწევდა მსურველებს სასურველი ინფორმაციის მიღებაში.

ამ ძეგლების შესწავლა და გზამკვლევის გამოცემა, თავიდან აგვარიდებს ისეთ ფაქტებს, რომელიც მოხდა 2017 წელს ჩვენს სკოლაში, კერძოდ, მშვიდობის კორპუსის მოხალისე,ამერიკელი ლიი უილიამსი სათანადო გზამკვლევის გარეშე გადაადგილდებოდა არაორგანიზებულ სამოგზაურო ზონაში, რა დროსაც მოხდა მისი დაკარგვა და იძულებული გავხდით მის მოსაძებნად მიგვემართა საგანგებო სიტუაციების სამსახურისათვის.

ჩვენი სკოლის მიერ ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, თემი, ადგილობრივი და უცხოელი სტუმრები. გამოიკვეთა:გამოკითხულთა 80% ადასტურებს, რომ სიამოვნებით ისარგებლებდა აღნიშნული მომსახურეობით ანუ გზამკვლევით.

პროექტის მიზანი:

1. მოსწავლეებში კვლევის, ინფორმაციის დამუშავების, გუნდური მუშაობის, კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნების განვითრების ხელშეწყობა, ლოკალურ გარემოში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების შეწავლის გზით.

პროექტის ამოცანები:

1. **სკოლაში მხარეთმცოდნეობის კლუბის დაარსება;**
2. **კლუბის აღჭურვა შესაბამისი ინფრასტრუქტურით და აღჭურვილობით;**
3. **კლუბის წევრებისთვის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება;**
4. **კვლევითი სამუშაოების განხორციელება და გზამკვლევის გამოცემა**

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლეები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას ლოკალურ გარემოში არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი ძეგლების ,ფლორისა და ფაუნის შესახებ;
2. სკოლაში შეიქმნება მხარეთმცოდნეობის კლუბი, რომელიც გააგრძელებს ფუნქციონირებას მომდევნო წლებშიც;
3. შეიქმნება საჩხერის რაიონსა და ზემო იმერეთში არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი ძეგლების საინფორმაციო გზამკვლევი.
4. მოსწავლეებს განუვითარდებათ კვლევა-ძიების, ინფორმაციის დახარისხების, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნების, პრეზენტაციის უნარები.

დაგეგმილი აქტივობების დეტალური აღწერა:

1. საინიციატივო ჯგუფის შექმნა, სასკოლო თემის წარმომადგენლების მონაწილეობით სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და პედაგოგების მონაწილეობით შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი,რომელიც მოიძიებს და შეისწავლის მასალებს ჩვენი მუნიციპალიტეტისა და რეგიონის ღირსშესანიშნავი კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების, ნაკრძალების, ბუნებრივი ძეგლების, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების იშვიათი ეგზემპლარების შესახებ. საინიციატივო ჯგუფი დაკომპლექტდება 12 მოსწავლისა და 4 მასწავლებლისაგან. ვაარსებთ მხარეთმცოდნეობის კლუბს სკოლაში.
2. თემატური ლექცია-გაკვეთილების ორგანიზება.

სკოლაში მე-6-11 კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდებათ ტრენინგები,ლექცია გაკვთილები შემდეგ თემებზე:

1.ისტორიული წყაროების მოძიებისა და შესწავლის სპეციფიკა რამაზი ტალახაძე 2. საჩხერის რაიონისა და ზემო იმერეთის კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობები ნანა სისვაძე 3.ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები, ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლები.გელა მაჭარაშვილი 4.საველე კვლევის წარმოება.გელა მაჭარაშვილი

3. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სამუშაო ოთახის მოწყობა, ტექნიკის და ინვენტარის შეძენა.

სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ვაწესრიგებთ კლუბისათვის გამოყოფილ ოთახს. ვამარაგებთ შესაბამისი ინვენტარით (მაგიდები,სკამები,კარადა). პროექტისათვის გამოყოფილი თანხით შევიძენთ ციფრულ კამერას (ფოტოების გადასაღებად), ფერად პრინტერს (სასურველი ინფორმაციის დასაბეჭდად), კატრიჯებს, პროექტორის ეკრანს (პრეზენტაიის გასაშუქებლად), საკანცელარიო მასალებს.

4. ვიზიტები ისტორიული,კულტურული ძეგლების მოსანახულებლად.

კლუბის წევრები მოაწყობენ ვიზიტებს საჩხერის რაიონისა და ზემო იმერეთის კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობების, მოდინახის ციხევ -სიმაგრე,სანთელას ციხე, ქორეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლების წარრმომადგენლების,საჩხერისა და ჭიათურის ბუნებრივი მღვიმეების,ფლორისა და ფაუნის იშვიათი ნიმუშების მოძიების,ლიჩისა და პერევის წიწვოვან-ფოთლოვანი ტყეების შესწავლის, ფოტოგრაფირების და ჩანაწერების გაკეთების მიზნით.

5. ინტერვიუ საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კლუბის წევრები ინტერვიუებს ჩაწერენ მუზეუმების მეცნიერ თანამშრომლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. მცირე ტურისტული გზამკვლევის გამოსაცემად საჭირო მასალების მოპოვების მიზნით.

6. გზამკლევის გამოსაცემად საჭირო მონაცემების დახარისხება.

კლუბის წევრები თემატიკის შესაბამისად დაახარისხებენ ,შეადგენენ შესაბამის ტექსტებს და გაასწორებენ გრამატიკულად, გზამკვლევის გამოსაცემად მოძიებულ მასალებს.

7. გზამკვლევის გამოცემა, პრეზენტაციის მომზადება.

კლუბის წევრები ფერადი პრინტერის გამოყენებით დაბეჭდავენ მცირე საინფორმაციო გზამკვლევს(ბუკლეტს).

8. გზამკვლევის გავრცელება და პრეზენტაციის წარდგენა, გამოფენის მოწყობა.

კლუბის წევრები მოიწვევენ ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებს, გააკეთებენ პრეზენტაციას,მოაწყობენ გამოფენას და მოახდენენ გზამკვლევის გავრცელებას.

9.ვებგვერდის, ბლოგის ,მომზადება, შექმნა. კლუბის წევრები მოამზადებენ და შექმნიან თემის შესაბამის ვებგვერდს,ბლოგს სახელწოდებით-მოდი ნახე, სადაც განთავსდება საჩხერის რაიონისა და ზემო იმერეთის ღირშესანიშნაობების ამსახველი

ფოტო და ვიდეომასალა, ტურისტული მარშრუტების მარტივი ვერსიები და სასტუმროების მისამართები სადაც შესაძლებელი იქნება ტურისტების მიღება.

პროექტის მდგრადობა:

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, რაიონის და რეგიონის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის,ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი ძეგლების შესახებ ცოდნის ამაღლებას.მოსწავლეებში კვლევა-ძიების,ინფორმაციის დახარისხების,თანამშრომლობის,კრიტიკული დაშემოქმედებითი აზროვნების, პრეზენტაციის უნარების განვითარებას.შექმნილი გზამკვლევი, პრეზენტაცია,ვებგვერდი და საგამოფენო მასალები სამომავლოდ გამოდგება მრავალჯერად სასწავლო რესურსად, არამხოლოდ ჩვენი სკოლის, არამედ დაინტერესებული სკოლის მოსწავლეებისათვის.
ამ მასალებით ისარგებლებენ მოსწავლეები, მასწავლებლები, სასწავლო პროცესში ესგ-ით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

აქტივობების ვადები:

	I თვე				II თვე				IIIთ	
აქტივობის დასახელება	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა
საინიციატიო ჯგუფის შექმნა,სასკოლო თემატური კლუბის სასკოლო თემის წარმომადგენლების მონაწილეობით.	+	+								
თემატური ტრენინგების ორგანიზება.მოწვეული ან ადგილობრივი ტრენერების ჩართულობით.			+	+						
სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სამუშაო ოთახის მოწყობა,ტექნიკის და ინვენტარის შეძენა.			+	+						
ვიზიტები ისტორიული,კულტურული ძეგლების მოსანახულებლად.					+	+				
გზამკლევის გამოსაცემად საჭირო მონაცემების დახარისხება.							+			

გზამკვლევის გამოცემა,პრეზენტაციის მომზადება.							+	+		
გზამკვლევის გავრცელება და პრეზენტაციის წარდგენა,გამოფენის მოწყობა.									+	+
ვებგვერდის, ბლოგის , მოზადება, შექმნა.										

მონიტორინგი და შეფასება

N	ამოცანები	ამოცანის შესრულების ინდიკატორი	გადამოწმებისწყაროები(*სად და რა დოკუმენტის საშუალებით იქნება შესაძლებელი ამოცანის შესრულების გადამოწმება)*
1	საინიციატივო ჯგუფების და თემატური კლუბის შექმნა სასკოლო თემის წარმომადგენლებისაგან.	ჯგუფების შემადგენლობები	დამფუძნებელი კრების ოქმი
2	ინფრასტრუქტურის მოწესრიგება,სამუშაო ოთახის მოწყობა,ტექნიკის და ინვენტარის შეძენა.	სამუშაო ოთახი , ელექტრონული ტექნიკა	ვიზუალური დათვალიერება, სურათები,შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
3	თემატური ლექცია გაკვთილების ჩატარება	ტრენინგის(გაკვეთილის) ამსახველი ფოტო ვიდეო მასალა.	ლექცია-სემინარის სილაბუსი. ვიდეოფაილები, ფოტო მასალა
4	ვიზიტები ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოსანახულებლად.	განხორციელებული ვიზიტების შედეგად მომზადებული მასალები	ფოტო მასალა ვიდეო ფაილები ჩანაწერები. გეგმა-გრაფიკი.
5	ინტერვიუები მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან.	ინტერვიუს ანალიზის შედეგები	ვიდეოფაილები ჩანაწერები ფოტო მასალა
6	გზამკვლევის გამოცემა.	გზამკვლევის ესკიზი	გზამკვლევის ეგზემპლარი
7	პრეზენტაციების,გამოფენის მომზადება,მოწყობა.	პრეზენტაცია, გამოფენა	პრეზენტაციების პოვერპოინტის ფაილი, გამოფენა, ფოტო მასალა

პროექტის განმხორციელებელი ჯგუფი

N	სახელი, გვარი	დაკავებული პოზიცია (სკოლაში დაკავებული პოზიცია, თუ გარედან მოწვეული პირია	წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განსაზღვრული ფუნქციების ჩამონათვალი

		-ორგანიზაცია და იქ დაკავებული პოზიცია)	
1	გელა მაჭარაშვილი	სკოლის დირექტორი	საერთო კორდინაცია (პროექტის მონიტორინგი, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება)
2	მაკა ბედიანიძე	სკოლის პედაგოგი	პროექტის ლიდერი (პროექტის კოორდინაცია და მონიტორინგი, თითოეული აქტივობის დაგეგმვა–განხორციელების ვადებში გაწერა)
3	14 მოსწავლე	მე-8,მე-9,მე10,მე11,მე-12 კლ.	

ბიუჯეტი

ჯამური ბიუჯეტი
(თანხამიუთითეთ ლარებში)

ხარჯვის სახეობა	**ჯამური თანხა**	**კომენტარი /განმარტება** (საჭიროების შემთხვევაში)
1. ხელფასი	**570 ლარი**	**პედაგოგებისთვის**
2. ტეკნიკური საშუალებების შესყიდვა	**2000 ლარი**	
3. სატრანსპორტო ხარჯი	**420 ლარი**	**მიკრო ავტობუსი 140 კილომეტრი**
სულ *(თანხის ჯამური ოდენობა)*	**2,990 ლარი**	

დეტალურიბიუჯეტი
(თანხა მიუთითეთ ლარებში)

ხარჯვის სახეობა	**ერთეული**	**ერთეულების რაოდენობა**	**ერთეულის ფასი ლარში**	**სულ** *(თანხის ჯამური ოდენობა)*
1. ხელფასი				
I მასწავლებელი	**საათი**	**9**	**30**	**270**
II მასწავლებელი	**საათი**	**5**	**30**	**150**
III მასწავლებელი	**საათი**	**5**	**30**	**150**

2. ტექნიკური საშუალებების შესყიდვა				
2.1.ციფრული აპარატი	**ცალი**	**1**	**500**	**500**
2.2.პროექტორის ეკრანი	**ცალი**	**1**	**100**	**100**
2.3.ფერადი პრინტერი	**ცალი**	**1**	**800**	**800**
2.4.კატრიჯები	**ცალი**	**5**	**40**	**200**
2.5.საკანცელარიო საქონელი	**ცალი**			**300**
2.6.ასაკინძი მექანიზმი	**ცალი**	**1**	**100**	**100**
3 საგრანსპორტო ხარჯი	**კილომეტრი**	**140**	**3**	**420**
მთლიანი ბიუჯეტი 2,990 ლარი				